

ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების

2016 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების სამი თვის ანგარიში

		დაგეგმილი აქტივობა	აქტივობის შესრულების შედეგი	აქტივობის შესრულების ინდიკატორები	პასუხისმგებელი უწყება	ვადები	დაფინანსების წყარო ¹	აქტივობის შესრულება	შესრულების სტატუსი ²
პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში									
1.	2.1	უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა და პალატის მუშაობაში დანერგვა	ჩატარებულია კვლევა საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის მიზნით და გაზრდილია საკვალიფიკაციო პალატის მუშაობის ეფექტიანობა	უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილულ საჩივართა რაოდენობა	უზენაესი სასამართლო ³	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი		
	2.2	მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის შემდგომში სრულყოფა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ახლებურად ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს პროცესის უფრო მეტ ობიექტურობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობის ამაღლებას	საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი მომზადებულია	ცვლილებების პროექტის წარდგენა საქართველოს მთავრობისთვის	იუსტიციის სამინისტრო იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი	2016 წლის 25 თებერვალს გაიმართა პრეზენტაცია „მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომები, შემოთავაზებული ჩამონათვალი და განმარტებები.“ კონფერენციაზე შემოთავაზებული იყო ცალკეული ცვლილებები დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების გაუმჯობესების და დახვეწის თაობაზე, მათ შორის შემოთავაზებული იყო კვლევა, ევროპული კანონმდებლობის ანალიზის და დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების თაობაზე.	ნაწილობრივ შესრულდა
	2.3	მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების დახვეწა, მათ შორის დისციპლინური საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა	სახალხო დამცველის რეკომენდაციების განხილვა დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების მიზნით	სახალხო დამცველის რეკომენდაციების განხილვათა რაოდენობა	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება		

	მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსის შემუშავებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება	მოსამართლეთა ეთიკის ახალი კოდექსისთვის საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები						
2.4	სასამართლო სისტემაში სამუშაო ანალიზისა და სამუშაო აღწერის დოკუმენტების შედგენის მიზნით საჯარო სამსახურის ბიუროსთან თანამშრომლობა მოსამართლეების-თვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა	სასამართლო სისტემის აპარატის თანამშრომლების უფლება-მოვალეობები დეტალურად გაწერილია შემუშავებულია და დანერგილია ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამა	ერთობლივი სამუშაო შეხვედრების რაოდენობა შემუშავებული დოკუმენტების რაოდენობა ელექტრონული პროგრამის მოხმარების სტატისტიკური მონაცემები	იუსტიციის უმაღლესი საბჭო სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს ბიუჯეტი დონორების დახმარება	მომზადებულია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მოხელეთა სამუშაო აღწერის დოკუმენტები., მომზადებულია საერთო სასამართლოების მოხელეთა სამუშაო აღწერის დოკუმენტების 50%. საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივითა და ორგანიზებით, 2016 წლის 29 თებერვალს, გაიმართა HR ფორუმი. აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა NATO - საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის (PDP) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის პროექტის (რომელიც ხორციელდება სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის (SCO) და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADC) მიერ) მხარდაჭერით.	ნაწილობრივ შესრულდა
2.5	მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლებრივი ტესტებისა და კაზუსების მომზადების ჯგუფის ტრენინგი და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის სტანდარტების ამაღლება	მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის კვალიფიკურად შემუშავებულია ტესტები და კაზუსები	პროფესიული წვრთნების (ტრენინგების) სათანადო რაოდენობა პროფესიულ წვრთნებში (ტრენინგებში) მონაწილე პირთა მაღალი მაჩვენებელი	იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	გაიმართა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდისთვის სამართლებრივი ტესტებისა და კაზუსების მომზადების ჯგუფის პირველი ტრენინგი.	ნაწილობრივ შესრულდა
2.6	სასამართლოში მიმდინარე პროცესების მნიშვნელოვანი სამართლებრივი	მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელთა-თვის ჩატარებულია 10 კვირიანი სამუშაო	შეხვედრებში მონაწილე მედია საშუალებების წარმომადგენლების რაოდენობა	იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	2016 წლის თებერვლის თვიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინიციატივით დაიწყო სამუშაო შეხვედრები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებისათვის.,	ნაწილობრივ შესრულდა

	ინსტიტუტების და ცნებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელთათვის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება	შეხვედრები სხვადასხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე					აღნიშნული პროექტის ფარგლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა 3 შეხვედრა. შეხვედრებს უძღვებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, ასევე, მოწვეული სასამართლის სპეციალისტები, რომლებსაც გამოცდილება აქვთ მედიასამართლის კუთხით.	
2.7	სამოქალაქო სამართლებრივი დავების მორიგებით დასრულების ხელშეწყობის მიზნით სასამართლო მედიაციის პილოტური პროექტის გაფართოება და ადმინისტრაციულ დავებზე სასამართლო მედიაციის დამკვიდრების მიზნით მოსამზადებელი სამუშაოს დაწყება	მომზადებულია დასკვნა ევროპული ქვეყნების მიერ ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავებზე მედიაციის გამოყენების შესახებ სამოქალაქო სამართლებრივი დავების მორიგებით დასრულების სტატისტიკური მაჩვენებლები გაუმჯობესებულია	ადმინისტრაციულ დავებთან დაკავშირებით შესწავლილი ევროპული პრაქტიკის თაობაზე დასკვნის გამოქვეყნება სამოქალაქო სამართლებრივი დავების მორიგებით დასრულების სტატისტიკური მაჩვენებლები	იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	2016 წლის 14 მარტს, „სარჩელის, პასუხისა (შესაგებლისა) და საჩივრის ფორმითა დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 8 დეკემბრის №1/456 გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც ფორმებს დაემატა სასამართლო მედიაციის განმარტება და კონკრეტული კითხვა იმის თაობაზე, თანახმანი არიან თუ არა მხარეები, რომ საქმე გადაეცეს სასამართლო მედიაციას. 2016 წლიდან გორის რაიონულ სასამართლოში კერძო სამართლებრივ დავებზე სასამართლო მედიაციის პილოტური პროგრამის ასამოქმედებლად შემუშავდა მედიაციისათვის საქმის გადასაცემად საჭირო (მორიგების, კონფიდენციალური შეთანხმების და ა.შ.) ფორმები, მედიაციის მომხმარებელთა კმაყოფილების კითხვარი და სტატისტიკური ცხრილი.	ნაწილობრივ შესრულდა
2.8	მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მოსამართლეთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფა	შემუშავებულია მართლმსაჯულების ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფილია მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დადებითი შეფასება მართლმსაჯულების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მონაწილეთა რაოდენობა	იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	2016 წლის თებერვლის თვეში, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შემუშავდა მართლმსაჯულების სამოქმედო გეგმა 2016-2020 წლებისთვის. აღნიშნულ დოკუმენტში შესულია სასამართლო რეფორმის მთელი რიგი სახელმძღვანელო პრინციპები და სტრატეგიული მიმართულებები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე იგეგმება მართლმსაჯულების ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, 2016 წლის 13-14 თებერვალს, გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პირველი გასვლითი სამუშაო შეხვედრა. 2016 წლის 5-7 აპრილს გაიმართა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეორე გასვლითი შეხვედრა	ნაწილობრივ შესრულდა

							მართლმსაჯულების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.	
3.1	მოსამართლეთა საქმიანობის პერიოდული შეფასების სისტემის დახვეწა და მოსამართლეთა დაწინაურების კრიტერიუმების შემუშავება და დანერგვა	მოსამართლეთა პერიოდული შეფასებისა და მოსამართლეთა დაწინაურების შესახებ არსებულ რეგულაციებში აღმოფხვრილია ხარვეზები შემუშავებულია და დანერგილია დაწინაურების კრიტერიუმები	მოსამართლეთა დაწინაურების თაობაზე შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით დაწინაურებულ მოსამართლეთა რაოდენობა მოსამართლეთა პერიოდულ შეფასებასთან და დაწინაურებასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების დადებითი შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი	2016 წლის მარტში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიმართა საერთო სასამართლოებს წარმოედგინათ თავიანთი მოსაზრებები „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. 16-მა სასამართლომ წარმოადგინა თავიანთი მოსაზრებები შეფასების წესის დახვეწასთან დაკავშირებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამჟამად ახდენს მიღებული შედეგების სისტემატიზაციას.	ნაწილობრივ შესრულდა
3.2	სასამართლოების ეფექტიანობის განსაზღვრელი მეთოდების დანერგვა თანამშრომელთა (მოსამართლეები, აპარატი) რაოდენობისა და ფინანსური რესურსების ადეკვატურობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დანერგვა	სასამართლოს საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი ზაზა შექმნილია დანერგილია მეთოდოლოგია	ეფექტიანობის შესაფასებლად თითოეული სასამართლოდან მიღებული დადებითი სტატისტიკური მონაცემები	იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	2016 წლის მარტის თვეში იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ „საერთო სასამართლოს მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებისა და მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ)-ის მეთოდოლოგიის საფუძველზე საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის გამოთვლის თაობაზე კვლევა ჩაატარა. კვლევის შედეგების პრეზენტაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 28 მარტის სხდომაზე განხორციელდა. უზენაესი სასამართლოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს უზენაესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის ანალიზი.	ნაწილობრივ შესრულდა
4.1	სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგიის, კრიტერიუმებისა და სტანდარტების შემუშავება	შემუშავებულია სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის მეთოდოლოგია, სტანდარტები და კრიტერიუმები	შემუშავებული კრიტერიუმების და სტანდარტების გაცნობის მიზნით ჩატარებული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების სათანადო რაოდენობა	უზენაესი სასამართლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება		
4.2	საერთო სასამართლოების მიერ	განახლებულია ადამიანის უფლებათა	განახლებული სახელმძღვანელო-ების	უზენაესი სასამართლო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი	უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის გამდიდრების მიზნით ევროსაბჭოს	ნაწილობრივ შესრულდა

	ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მის საფუძველზე შექმნილი პრეცედენტული სამართლის გამოყენების ხელშესაწყობად, დამატებითი ღონისძიებების განხორციელება და უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის კომპეტენციის გაძლიერება	სფეროში ქართულ და უცხოურ ენებზე არსებული სახელმძღვანელოები ნათარგმნია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ქართულ ენაზე და განთავსებულია ელექტრონულ ბაზებზე ჩატარებულია ტრენინგები მოსამართლეების, თანამშრომლებისა და ადამიანის უფლებათა ცენტრის თანამშრომელთა-თვის	ხელმისაწვდომობა ნათარგმნი გადაწყვეტილებების შესაბამისი რაოდენობა ტრენინგებში მონაწილეთა სათანადო რაოდენობა	საერთო სასამართლოები		დონორების დახმარება	პროექტის ფარგლებში "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და საერთაშორისო სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაცია საქართველოში" მოწვეული არიან ექსპერტები, სლოვენის უზენაესი სასამართლოს გენერალური მდივნის, მოსამართლე ბატონი ჯანკო მარინკო და სლოვენის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის უფროსი მრჩეველი, ბატონი რადო ბრეზოვარი. ექსპერტებმა შეხვედრა უზენაეს სასამართლოში ანალიტიკურ განყოფილების წარმომადგენლებთან 25 იანვარს გამართეს. 17-18 თებერვალს გაიმართა ტრენინგი სახელწოდებით „შესავალი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში და კვლევის მეთოდოლოგია“, ანალიტიკური განყოფილების თანამშრომლებისთვის. 27 თებერვალს, უზენაეს სასამართლოს და ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა მოსამართლეებისთვის" დისკრიმინაციის აკრძალვის საკითხებზე. ადამიანის უფლებათა ცენტრმა 2016 წელს ორი გამოცემა დაამუშავა, რომელიც ვებ-გვერდზე და ასევე ბეჭდური სახით არის ხელმისაწვდომი მოსამართლეებისთვის: 1) დისკრიმინაციის აკრძალვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში 2) ირიბი ჩვენებები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა.	
4.3	შიდა პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზის გაუმჯობესება	გაზრდილია შიდა პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში არსებული საქმეების რაოდენობა შექმნილია პროგრამის მოხმარების სიხშირის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები	უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის კრებულების გამოცემა	უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება		ნაწილობრივ შესრულდა
4.4	„Bench-Bar“-ის (ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეების) შეხვედრები სამართლის	ჩატარებულია „Bench-Bar“-ის შეხვედრები	ჩატარებული შეხვედრების სათანადო რაოდენობა	უზენაესი სასამართლო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	11 თებერვალს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტების ფარგლებში, გაიმართა მრგვალი მაგიდა მოწმის დაკითხვის ახალ წესზე (Bench & Bar) , რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსამართლეებმა, პროკურორებმა და ადვოკატებმა.	ნაწილობრივ შესრულდა

	პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით) საქმიანობის განახლება							
4.5	მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების საკითხის დარეგულირება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით	დანერგილია მოსამართლეებს შორის საქმეთა შემთხვევითობის პრინციპით ელექტრონული განაწილების სისტემა და უზრუნველყოფილია საქმეთა ნაკადის ეფექტიანი მართვა	საქმეთა შემთხვევითობის პრინციპით ელექტრონული სისტემით განაწილებული საქმეების რაოდენობა	უზენაესი სასამართლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო საერთო სასამართლოები	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის სამუშაო ჯგუფი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად შეიმუშავებს წინადადებებს სასამართლოში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის თაობაზე.	ნაწილობრივ შესრულდა
4.6	ტრენინგების ჩატარება სასამართლო სტატისტიკის მოძიებისა და გამოყენების საკითხებზე ევროკავშირის სტატისტიკის სფეროში მოქმედი სტანდარტების დანერგვის მიზნით	საქართველოს სასამართლო სისტემაში დანერგილია ევროკავშირის სტატისტიკის სფეროში მოქმედი სტანდარტები	ჩატარებული ტრენინგების სათანადო რაოდენობა გადამზადებული თანამშრომლების სათანადო რაოდენობა	უზენაესი სასამართლო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დამარება		
4.7	საკანონმდებლო აქტებში განხორციელებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე საინფორმაციო ბარათებისა და ცნობარების მომზადება	მომზადებულია საინფორმაციო ბარათები და ცნობარები მოსახლეობის ინფორმირებულობა სამართლებრივ საკითხებზე გაზრდილია	მომზადებული საინფორმაციო ბარათებისა და ცნობარების სათანადო რაოდენობა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	უზენაესი სასამართლო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება		
4.8	მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტების განსაზღვრის თაობაზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღება და ამ კუთხით მოსამართლეთათვის ტრენინგების ჩატარება	არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, მიღებულია საბჭოს გადაწყვეტილება ჩატარებულია ტრენინგები მოსამართლეთათვის	არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების სფეროში მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება ტრენინგების სათანადო რაოდენობა გადამზადებული მოსამართლეების სათანადო რაოდენობა	იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2016	სახელმწიფო ბიუჯეტი დონორების დახმარება	2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მოსამართლის სპეციალიზაციის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.	მეტწილად შესრულდა

შენიშვნა:

¹ „სახელმწიფო ბიუჯეტი“ - აქტივობების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი უწყებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

² აქტივობის შესრულების სტატუსი შეაფასეთ შემდეგი ოთხი კრიტერიუმით:

- **სრულად შესრულდა** - გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება სრულად შესრულებულია;
- **მეტწილად შესრულდა** - გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
- **ნაწილობრივ შესრულდა** - გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
- **არ შესრულდა** - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება არ არის შესრულებული.

³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს აქტივობები გეგმაში შეტანილია საინფორმაციო მიზნით.